№ 29 28 ივლისი 1872 28 ივლისი № 29

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

	გაგზავნით,	გუგზავნელად
ერთის წლისა —	6 მან. კაპ.	5 მან. კაპ.
ნახევრის წლისა	3 »	2 » »
სამი თვისა —	1 » 75	1 » 50
ერთის თვისა —	» » 60	» » 50
ცალკე ნომრის —	» » 12	» » 10

განცხადებები, «დროებაში» დასაბეჭდათ, მიიღება სხვა და სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივის ასოებით, სტრიქონზე 8 კაპ. და ასო-მთავრულებით — ხაზზე 1/2 კაპ.

დროება

საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეშვიდე

ხელის-მოწერის ფასი

მიიღება თფილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში (გ. წერეთლის და ამხ. სტამბაში, ხატისოვის ხასლებში).

ქუთაისში: გერასიმე კალანდარიშვილთან (ხასულიერო ხასწავლებელში).

გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты «ВРЕМЯ», при типографіи Г. Церетели.*

გამოდის კვირაში ერთხელ, შვრასკვრობით

შინაარსი

საქართველო: უბედურება რკინის გზაზე, — წვრილი ამბები. — დროების» კორრესპონდენტია: ქიზიყიდამ, — იგდირიდამ, — რუსეთი: წვრილი ამბები. — უცხოქვეყნები: საფრანგეთი, — ბასტილიის ალება 1789 წ. და იმის დღესასწაულობა წელს, — ინგლისი, — ამერიკა, — ესპანია. — საფრანგეთსა და პრუსიას-შუა ომი 1871 წ — — ნარევი. — განცხადებები. —

ფელეტონი: — ახმედ-ფაშა კახა-ბერი. (ნეკროლოგი)

საქართველო

უბედურება რკინის გზაზე

ჯერ ჩვენი რკინის გზა ფოთიდამ თფილისამდი კიდევ სრულად არ გახსნილა, მაგრამ სულ რომ ჩამოვთვალოთ, რაც ამ გზაზე უბედური შემთხვევები მოხდა, დიახ დასაფიქრებელ მოვლინებას დავინახავთ: უკანასკნელი რომ ვიანგარიშოთ, რაც «დროებაში» და «კავკასში» გამოცხადებული იყო, გამოვა, რომ ორმოც კაცზე მეტი თუ არა, ნაკლები არ შეუმსხვერპლია ყვენს რკინის გზას; ზოგს ხელი წაგლეჯია, ზოგს ფეხი და ზოგი კი სრულიად მოკლაო, — ასე ამბობენ და იწერებიან.

უეჭველია, რომ ამისთანა უბედური შემთხვევების მიზეზი ხანდისხან თვითონ ისინი არიან, რომელნიც ამ რკინის გზამ შეიმსხვერპლა; მაგრამ არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ, როგორც ყველგან, ჩვენშიაც ხანდისხან ამისთანა უბედურება უფრო რკინის გზაზე მოსამსახურე პირებისაგანაც წარმოსდგება და უფრო ხშირათ მაშინისტისაგან, რომელიც კარგა არ ადევნებს თვალ-ყურს ლოკომოტივის მსვლელობასა და საზოგადოთ რიგიანათ ვერ ასრულებს თავის საქმეს და მოვალეობასა. მაშინისტი, რომელსაც მიჰყავს მაშინა და რომელსაც რამდენიმე ასი კაცის სიცოცხლე და ქონება აქვს მინდობილი, უეჭველია, ძლიერ სანდო და თავის საქმეში გამოცდილი კაცი უნდა იყოს, თორემ თავის წინ-დაუხედაობით იმას უანგარიშო ზიანის მოტანა შეუძლია. მაგრამ მაშინისტის და საზოგადოთ რკინის გზაზე მოსამსახურე პირების ნახრით კარგათ თავის საქმის ცოდნა კიდევ საკმარისი არ არის; საჭიროა, რომ ისინი მუდამ ფხიზელნი და მუდამ წინ-დახედულნი იყვნენ. ლოთი, უზნეო და დაუდეგარი მაშინისტი ძლიერ ადვილათ შეამთხვევს რკინის გზას რამე უბედურებას და თავის თავსაც და სხვასაც ბევრს დაღუპავს.

უბედური შემთხვევები რკინის გზაზე სხვა ქვეყნებშიაც ხდება ხოლმე: მაგრამ ისე ხშირათ კი არა, როგორც ჩვენში დაიწყო ამ უკანასკნელ დროს. სხვა ქვეყნებში რკინის გზის პატრონები კანონით ვალდებულნი არიან, რომ თუ ვისმეს იმათი ჩინოვნიკების გადამკიდე რამე უბედურება შეემთხვა, თვითონვე უნდა უზღონ იმათ ჭირისუფლებს. ვსთქვათ, მაშინისტი მთვრალი იყო და ამ დროს იმის ვაგონები მეორე ვაგონებს დაეტაკა, ან დროზე ვერ გააჩერა და ამის გამო ვაგონები გადასცვივდნენ რელსებიდამ და სამი ან ოთხი კაცი დაიხოცა. ამ შემთხვევაში რკინის გზის პატრონები ვალდებულნი არიან, რომ დახოცილების ცოლ-შვილს სამუდამო პენსია გაუჩინონ და ამგვარათ ცოტათი მაინც შეუმსუბუქონ გაჭირვებული მდგომარეობა იმ კაცის ოჯახს, რომელიც იმათი გაუფრთხილებლობის გამოისობით მოკვდა. ეს გარემოება, ეს პასუხისგება, რასაკვირველია, აფრთხილებს რკინის გზის პატრონებსა და ამიტომ ისინი ყოველთვის სანდო და მცოდნე კაცებს ნიშნავენ რკინის გზაზე მაშინისტებათა და საზოგადოთ მოსამსახურე პირებათ.

ამნაირიე წესია უცხო ქვეყნებში აგრეთვე საქონლის თაობაზედაც: თუ რკინის გზის კამპანიამ გააფუჭა გზაში საქონელი ან თავის დროზე ვერ მიიტანა დანიშნულ ადგილას, მაშინ კამპანია ვალდებულია საქონლის პატრონს უზღოს მიცემული ზიანი.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ ჩვენს რკინის გზაზედაც ამისთანა წესები შემოიღონ. მართლაც, ვინ უნდა უზღოს და ვინ უნდა არჩინოს იმ კაცის ცოლ-შვილი, რომელიც რომელიმე რკინის გზის მოსამსახურის დაუდეგრობით მოკვდა, თუ არ ამ რკინის გზის პატრონებმა და ამგვარი უხეირო მოსამსახურის დამყენებელმა? როდესაც ჩვენს რკინის გზაზედაც ამისთანა წესებს შემოიღებენ, მაშინ თვითონ კამპანიაც გაფრთხილებული იქნება, რადგან ის თვითონვე აგებს პასუხს უბედურ შემთხვევისთვის და ხალხიც უფრო თამამათ მიანდობს მაშინას თავის თავსა და საქონელს, რადგან დარწმუნებული იქნება, რომ იმის სიცოცხლესა და საქონელს გაფრთხილებული ყურის-მგდებელი ეყოლება. მაშინ, უეჭველია, იმდენი განუკითხავი უბედურება აღარ მოხდება ჩვენს რკინის გზაზე, რამდენიც ახლა ხდება.

ხ. მ.

ამ თვის 30-ს თფილისის უეზდის თავადაზნაურობა მოწვეულია თავის წინამძღოლისაგან საზნაურო ბანკის თაობაზე მოსალაპარაკებლად ამ მოკლე ხანში დანარჩენ უეზდებშიაც უნდა იქნეს კერძოობითი კრებები ამ საქმის თაობაზე და მერე, ოქტომბერში, დაინიშნება ლუბერნიის მარშლისაგან საზოგადო კრება, რომელზედაც ჩვენი ბანკის საქმე უნდა გადასწყდეს.

კიდევ ურჩევთ ჩვენ თავად-აზნაურობას, რომ კარგათ დაფიქრდეს ამ საქმეზე, ბრმათ ნუ დაეთანხმება იმ წინადადებას, რომელსაც კამისია წარუდგენს და გულდამჯდარათ ასწონოს ის დამტკიცებაები, რომელიც უფ. მ. გ. მ—ს მოჰყავს ამ კამისიის წინადადების წინააღმდეგ თავის ამ მოკლე ხანში გამოცემულს ბროშურაში.

* * *

ერთს რუსულ გაზეთში სწერენ, რომ ახალს სამასწავლო კანონებს კავკასიაში მხოლოდ ორს გიმნაზიაში შემოიღებენო: სტავროპოლისა და ყუბანის გიმნაზიაში, რომელნიც კლასიკურ გიმნაზიებათ გადაკეთდებიანო. ვლადიკავკასში კი ექვს-კლასიანი რეალური სასწავლებელი გაიხსნება. რაიცა შეეხება კავკასიის აქეთა მხარეს, აქ კლასიკური გიმნაზიი

ფელეტონი

ახმედ-ფაშა კახა-ბერი *)

(ნეკროლოგი)

დიდებულის დივანის წყალობით, უმაღლეს ხარისხამდეა აყვანილი ახმეთ-ფაშა კახა-ბერი. ამ ორმოცის წლის წინეთ, მცირე მიზეზისგამო, ის მოაშორეს თავის სამშობლოს და უცხო ქვეყანაში გაგზავნეს; მაგრამ შემდეგ, იქიდამ დაბრუნებულმა, ისეთი ნიჭი და ერთგულება გამოიჩინა, რომ ოსმალეთის მართებლობამ მიაქცია მას ყურადღება და გულუხვათ დააწინაურა თავის ტომში. როდესაც ახალმა სულთანმა სხვა და სხვა ცვლილებები შემოიღო ამ ქვეყანაში, ახალ-თაობა აღტაცებით მიეგება იმ ცვლილებებს და რითაც კი შეიძლებოდა, საქმით თუ სიტყვით, ამ კანონების აღსრულებაში მოყვანას სცდილობდა, მაშინ როდესაც ძველი თაობა, გულდაწყვეტილი ამ ცვლილებაებზედ, ცხადათ რომ ვერ აცხადებდა თავის უკმაყოფილებას, გულში იკლავდა და ეძებდა შემთხვევას, რომ როგორმე თავის ნაღველი წამოემთხია და გულის-ბუხარი ეისმეზედ ამოეყარა. — ჩვეულებრივის ფარისევლობით, იმან პირ-ღიმილით მიიღო ის კანონები, მაგრამ ახალ-თაობის დაუძინარის მტერობითა და შურით კი აღივსო. მაგრამ რა ექნა? როგორ უნდა მოქცეულიყო? იმას ხომ ვერ იტყოდა, თუ ამისთვის ვსდევნი ახალ-თაობასო, და მიზეზები გამოიგონა: 1) ვითომც ახალ თაობას სარწმუნოებაზედ ხელი აეღოს, რადგანაც იცოდა, რომ ამ ცილის-წამებით მდაბალ ხალხს მოატყუებდა და ახალ-თაობაზედ ნდობას დაუკარგავდა; 2) ამტკიცებდა უსინიდისოთ, რომ ახალ-თაობა მმართებლობის განკარგულებას ეწინააღმდეგებაო და სხვანი. — ამ გვარი ცილის-წამებაები აიღო სახელმძღვანელოთ და დაუწყო დაენა მოუსვენარად ახალ-თაობას თუ სიტყვით, თუ საქმით. ბევრმა შეშინებულმა ჩინებულმა ახალგაზდამ დაჰყარა პატიოსნების იარაღი და მიეკედლა ძველ თაობას; მაგრამ ამითი ახალ-თაობა მთლად არ დამარცხებულა: ბევრმა ყმაწვილმა კაცმა მოთმინებით წინააღუდგა იმ დევნას და არ შესცვალა გზა თავის პატიოსნურ მსვლელობისა. თუ რა ტანჯვა გამოიარეს იმათ, იმას ნუღარ მოვიგონებთ, რადგანაც მოგონებაც კი კმარა გულის ასაძგერებლად. ამ გაჭირვების დროში გამოჩდნენ რამდენიმე პირნი ძველ-თაობიდამაც, რომელთაც დიდის პატიოსნებითა და ჭეშმარიტებითა თანაუგრძნეს დევნულ-მართლებს; იმათში ისე გამოჩენილი და შესანიშნავი არავინ ყოფილა, როგორც ახმეთ-ფაშა კახა-ბერი. თუმცა საქმით კი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ სიტყვით კი თანამგრძნობი იყო ახალთაობის, სხვებსავით გზაში მტერათ არ უდგა მას, და რადგანაც ყოველივე დროსა და ადგილის შეხედვით ფასდება, ამისათვის ახალგაზდობამაც უზომოთ მომეტებულათ დააფასა კახა-ბერი და ყოველს შემთხვევაში მისი თანამგრძნობელი იყო და მსასოებელი. ახმეთ-ფაშის ამ გვარ-კეთილათ მოქცევის მიზეზი თურმე მისი უფროსი ძმა ყოფილიყო, ისკანდერ-ბეგი, კაცი პატიოსანი და დიდათ შესანიშნავი თავის ტომში. როდესაც ის ისკანდერ-ბეგი მოკვდა, ახმეთ ფაშის აზრებიც გამოიცვალა და საოცრის ცილის-წამებით გამოინადირა ახალ თაობაზედ... ახალი თაობა ყოველთვის იმას ამტკიცებდა, რომ მმართებლობა არ დაუჯერებს ჩვენზედ ჩვენი მტერების ცილის წამებას, ჩვენი გარემოება ახმეთ-ფაშამ კარგათ იცის და ის იტყვის სიმართლესო; რასაც ის იტყვის, ჩვენ იმაზედ დაჯტური მიგვიცია წინდაწინვეო. წარმოიდგინეთ მისი მდგომარეობა, როდესაც ბინმა ვექილმა, ახმეთ-ფაშამ, ახალგაზდობას სასიკვდინო კერი დაჰკრა თავში და მით მის მტერებს ფრთები გამოასხა. რა უნდა ექნა ახალ-თაობას? მოეთმინა? არა! აქ მოთმინება აღარ ივარგებდა! — რუსთველმა სთქვა:

«ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობასს,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდებაო.»

და აქ სწორეთ თქმა სჯობდა უთქმელობას. ახლა კი გაიგეს — რა კაციც ყოფილა ახმედ-ფაშა. ყველას მოაგონდა იმის წარსული ცხოვრება: იმას, თუმცა კი შეეძლო, მაგრამ თავის სიცოცხლეში თავის ქვეყნისათვის არავითარი კეთილი არ უქნია; ყოველთვის იმას ამბობდა, რომ მსურს, მაგრამ მეშინია, მა-

---

*) კახა-ბერი ქვეყანას ეწოდა, ძველათ საქართველოს ერთის სამთავროს შადგენდა და მათი მთავრები იწოდებოდენ კახა-ბერად. დღეს ეს სამთავრო თათრების ხელშია, ისე როგორც ჩვენი ჯავარა და სხვ.

სა და პროგიმნაზიების ნაცვლათ, რამდენიმე რეალური სასწავლებელი იქნებაო.

* * *

მკითხველმა იცის, რომ ვლადიკავკასიდამ როსტოვამდი რკინის გზის გაყვანა შტეინგელს მოანდვეს. ერთი რუსული გაზეთი იწერება, რომ ეს გზა 631 ვერსზე მომეტებული არ უნდა იქნესო; კამპანია ექვსი თვის განმავლობაში უნდა შეუდგეს ამ გზის კეთებასა და სამ წელიწადში სულ უნდა მორჩეს.

* * *

სოხუმის მცხოვრებლებს ხელის-მოწერით შეუკრებიათ 1,515 მანეთი და გადაუწყვეტიათ, რომ ამ ფულის სარგებლით ერთი სოხუმელი ღარიბი მცხოვრების ქალი გამოზარდოთ ჩვენს ახლად გამართულს საქალებო პროგიმნაზიაშიო. ამ სტიპენდიას ნიშნავენ უფ. გეიმანის სახსოვრათ; იმას ერქმევა სახელად—«ეკატერინა ვასილის ასულის გეიმანის სტიპენდია», რადგან უფ. გეიმანმა ბევრი ღვაწლი გასწია ქალების პროგიმნაზიის გამართვის თაობაზეო.

«დროების» კორრესპონდენცია

ქიზიყიდამ, ივლისის 12-ს.

წარსულ «დროების» ნომრებში აწერილი იყო უბედურება ქიზიყისა, ე. ი. ხუთმეტი სოფლის პურისა და ღვინის დასეტყვა. ახლა მე მინდა ვსთქვა ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ რას მიაწერენ ქიზიყელები ამ თავიანთ უბედურებას. ხუთმეტს ამ თვისას იყო დღესასწაული, ანუ დღეობა, ერთ ყველაზე უფრო ძალიან დასეტყვილ სოფელში. აქ, როგორათაც სხვა მხარეებში, იცვან დიდი წვეულება; რომელი ეკლესიის დღეობაც არის, იქ შეიყრებიან დილითვე სხვა და სხვა სოფლების ხალხი და აქვთ დიდი სიმღერა, თამაშობა და ბაასი, ვიდრე წირვა გამოვა. ახლა ამ კრებაში დადიან კაცები მოპატიჟეები და ვინც ვის იცნობს, ეპატიჟებიან. მე ვიყავ ხუთმეტს ამ თვისას დღეობას, საცა სხვათა შორის გავიგონე ბევრი ბაასი და სჯა იმაზე თუ რათ მოვიდა სეტყვა? ლაპარაკის დაწყობაში იქ არ ვიყავი, მე მიუსწარ შემდეგს: ერთი კარგათ ჩაცმული და კარგა ხნის კაცი ამბობდა: «კაცო, იმ დღეს ჩვენი მღვდელი დაგვადგა—თუ კარგა არ მოიქცევით, მერმისაც დაისეტყვებითო; რო ჰკითხოთ—როგორ უნდა მოვიქცეთო, გეტყვით: მღვდლებსა და დიაკვნებს განწესებას ნუ დაუჭერთო, იმათ ნუ გააჯავრებთო. ახლა ერთი შეხედეთ, თითონ რასა ჰშვრებიან: იმ დღეს ჯ—ში ლაპარაკობდნენ, რომ ერთ მღვდელს ერთი ქალი შეუყვარებია თავის მრევლისაო და ეხლაცა ჰყვაროობსო. აბა რატო ცეცხლის სეტყვა არ მოვა და არ გაგვწყვეტს სულა; მღვდლები რომ ამასა ჰშვრებიან, ხალხმა რაღა ქმნას.» აქ სხვებმაც დაიწყეს ლაპარაკი. ერთმა იმათგანმა აამაღლა ხმა და დაიწყო: «ბოდბეში ქადაგი დაეცაო...» იმას გააწყვეტინა წინანდელმა: «მოიცა, მე გავათაო. მერე ის ქალი გაუთხოებიათ. ქალი რო წაუყვანიათ, ორ თვეს უკან მღვდელიც უკან გამოსდგომია, მისულა ღამე, ქალს ქმარი შინ არა ჰყოლია, დედამთილი კი იქა ყოფილა; მღვდელს ფული უჩუქებია ბებრისათვის და ქალისათვის. იმ ღამეს იქა ყოფილა, დილით მეზობელი ცეცხლისთვის შესულა და უნახამს, გამოსულა და მეზობლებისთვის შეუტყობინებია და შენის მღვდლისათვის ანაფორა და ცხენი წაურთმევიათ; მერე მღვდელს სამი თუმანი მიუცია და თავი დაუხსნია... აი ეს არის სეტყვის მიზეზი... მაშ, კაცო, სეტყვა აქამდის რატო არ მოვიდა? აგერ სამოც-და-ათის წლის კაცი ვარ და ჯერ ამისთანა დროს არ შევწრებივარ. მაშინდელ მღვდლებს სხვისა რომ გაეგონათ, შეაჩვენებდნენ, არა თუ თითონ. არა, დამდგომიან, რვა რვა მანეთი მოგვეცითო, პური ძვირიაო.»

ახლა წარმოიდგინეთ, რა კეთილი გაელენა უნდა ექნეს იმისთანა მღვდელს, რომელზედაც მრევლი ამისთანა აზრისა არის?

ვილაცას უთქვამს, რომ საპნით შეიძლება ხალხის განათლება შეიტყოსო; მე კიდევ ვიტყვი, ქიზიყში ზნეობა, ხასიათი და ყოფა-ქცევა, მომეტებულად ყოფა-ქცევა ხალხისა მღვდლით შეიტყობა. მართლა და კარგი ჭეშმარიტებაა ჩვენი ანდაზა: «როგორიც ღვდელი, ისეთი ერიო.» სწორეთ მოგახსენოთ, ეს ანდაზა ისე გამართლებული არსად მინახავს, როგორც იმ სოფელში.

აი ეს თვეზე მეტია, რაც აქ წვიმა არა ყოფილა; რვა ივნის მოსულა სეტყვა, ჩაუყრია ხალხი უბედურებაში და დაუნებებია თავი; ამ თვის თვრამეტს და ოცს კი იყო კარგი ხანგრძლივი წვიმები. ამ თვის ოცს აქ მოელოდებოდნენ, ქადაგების და მკითხავების სიტყვით, ქარცეცხლს, მაგრამ წვიმის მეტი არა მოვიდარა. ამ გვალვამ და სეტყვამ ქიზიყში გაამრავლა ქადაგები და მკითხავები, რომელნიც უმისოთაც მრავალნი იყვნენ. შემდეგისათვის მკითხველს გავაცნობ ამ ახალ ქადაგებთან და მკითხავებთან.

ხ. სარქეხოვი.

იგდირი (ერევნის გუბ.) **ივლისის 15-ს.**

უავდრობამ აქ, მთებში, პური თითქმის სულ გაახმო და საცა სარწყავი მიწებია, იქ კი კარგი მოსავალი მოვიდა; მაგრამ პური კი ისევ ძვირათ არის. აქაური სარწყავი—«ხალვარი»—რომელიც 30 ფუთია, 20—22 მანეთად ისყიდება ახლა, კალოობას, როცა პური ყოველთვის იაფდება ხოლმე, და კვლავ 5—8—10 მანეთზე ზევით არ ასულა.

ამ ძვირობას, რასაკვირველია, ყიზილბაშს აბრალებენ. არაქსი, საიდამაც აქაურებს გაჰყავთ რუებით სარწყავი წყალი, თითქმის სულ დააშრეს, მაგრამ წყალი კიდევ ვერა ჰყოფნის; აქამდინ წყალი ყანებს უნდებოდა, ახლა ბამბისთვის და სხვა საზეთო ჯეჯილისთვის არის საჭირო. აქამდინ რამდენიც უნდა ბევრი წყალი გაეყვანათ არაქსიდამ, მაინც კიდევ სამ-ყოფი მდინარე რჩებოდა; მაგრამ ახლა სულ დააშრეს და ზედ ქლეტა არის; ზოგან სასმელი რუებიც მოსწყდა და წყალს ჭიდანა სვამენ.

სიცხე დგას აქ რეომიურის ტერმომეტრის 22—24° გრადუსამდი ჩრდილოში (სახლში) და მზეზე 38°-მდი

ქ—რე ყანჩელი.

რუსეთი

შარშანწინ სახელმწიფო რჩევაში მოლაპარაკება იყო იმ პროექტზე, რომელიც სახალხო განათლების მინისტრმა წარადგინა რეალური გიმნაზიების შესახებ. ამ პროექტის ძალით, რუსეთში რეალური გიმნაზიები უნდა მოსპობილიყო და მათ ნაცვლათ უბრალო რეალური სასწავლებლები უნდა დაწესებულიყო, საიდამაც ყმაწვილ კაცებს მხოლოთ უმაღლესს სპეციალურს სასწავლებლებში შესვლა შეეძლოთ და უნივერსიტეტებში კი არა. სახელმწიფო რჩევაში ამის თაობაზე უთანხმოება მოხდა და არ მიიღეს ეს პროექტი. შაგრან თვითონ ხელმწიფე იმპერატორმა, თავის უმაღლესის უფლებით, დაამტკიცა მინისტრისაგან წარდგენილი პროექტი რეალური სასწავლებლისა და ახლა «მმართებლობის მოამბეში» დაბეჭდილია ახალი წესდებულება რეალური სასწავლებლებისა.

* * *

პეტერბურღში და მოსკოვში ხოლერა ჯერ არ ჰკლებულობს. პეტერბურღში ხოლერას გარდა ამჟამად ყვავილია და ბევრს ხოცავს თურმე. 11 ივნისიდამ დაწყებული ვიდრე 6 ივლისამდი ხოლერას პეტერბურღში 308 კაცი და ქალი მოუკლავს. სულ 721 კაცი და ქალი ყოფილა ავათ ამ ავათმყოფობითა. ყვავილსაც ამ ქალაქში 1 აპრილიდამ ვიდრე 6 ივლისამდი 237 სული მოუკლავს.

კიევში და ზოგიერთ სამხრეთ რუსეთის ქალაქებში კი თან-და-თან ჰკლებულობს თურმე ხოლერა. გაზეთებში იწერებიან, რომ კიევში ხოლერის გაჩენის მიზეზი ის არისო, რომ იქაურ მონასტრებში ზაფხულობით ძლიერ ბევრი მლოცველები მოდიან სხვა და სხვა რუსეთის ადგილებიდამა და რადგანაც მარხულობით და ფეხით მოგზაურობით დასუსტებულნი არიან, ამიტომ ისინი ადვილათ ხდებიან ავათაო.

ამას გარდა კრონშტატში და საზოგადოთ პეტერბურღის გუბერნიაში პირუტყვს ჭირი (ჟამი) გასჩენია და ამის გამო, სხვათა შორის, ინგლისის მმართებლობას განკარგულება მოუხდენია, რომ რუსეთიდამ გამოგზავნილი საკლავი საქონელი ინგლისში არ შემოუშვათო.

* * *

კიევის უნივერსიტეტის რექტორს, უფ. ბუნგეს, შეუკრებია ცნობები სტუდენტების მატერიალურ მდგომარეობაზე და გამოუანგარიშნია, რომ საშუალო რიცხვით 100,000 მანეთის შემწეობა დასჭირდებათ ამ უნივერსიტეტის სტუდენტებს ყოველ წელიწადს, ისე ღარიბები არიან ახლაო. ამ ღარიბი სტუდენტების დასახმარებლათ, უფ. ბუნგეს ისეთი კერძო საზოგადოების შედგენა განუზრახავს, რომელმაც სწავლის დროს თუ ფულებითა და თუ სხვა რაიმე საშუალობით ხელი უნდა მოუმართოს იმათა. შემდეგში, როდესაც სტუდენტები გაათავებენ სწავლას და საქმეს მოჰკიდებენ ხელს, მაშინ გადაიხდიან იმ ვალს, რომელსაც ამ საზოგადოებიდამ აიღებენო. ეს ძლიერ კარგი აზრია და ღმერთმა ჰქნას, რომ ამისთანა საზოგადოება ყველა მოსწავლეებისათვის გამართულიყოს.

* * *

ამას წინათ გაზეთში «პეტერბურღის უწყებებში» დაბეჭდილი იყო ერთ ხარკოვის გუბერნიიდამ გამოგზავნილი კორრესპონდენცია, რომელშიაც სწერდნენ, რომ ჩვენში მღვდლები ძალიან ავიწროებენ სოფლის ხალხსაო, ბევრს გადასახადს ახდევინებენო

ღალ ხარისხზედ ვდგევარ და ვერა ვბედაო,—თითქოს უშლიდა ვინმე! ცარიელი სიტყვით კი თავს არ იზოგავდა და კარგს მოძღვრებას გვაძღევდა. თუმცა, ვამბობ, ახმედ-ფაშას საქმით თავი არ გამოუჩენია, მაგრამ სიტყვატკბილი და სიტყვა—მართალი იყო და ახალგაზდობა დიდის სიყვარულით მიმართავდა და თითქმის ქვეყნიერ ღმერთადათ ხდიდა იმას. და მართლაც მისი სიტყვები ღრმათ იბეჭდებოდენ გულის ფიცარზედ. რომელს კახა-ბერელს არ ასძგერებია სიიოანენებით გული, როდესაც მის თხზულებებს კითხულობდა? მაგრამ, როდესაც წაიკითხეს მისი ბეზღებითი ეფისტოლე ახალგაზდობისადმი, ყველას გული აუღელდა და თვალ-ცრემლიანმა გამოიტირეს თავის სასო კახა-ბერი.

ამბობენ, ერთმა ახალგაზდათაგანმა დაუწერა კახა-ბერს საკადრისი პასუხიო, რომელშიაც ძველ თაობას გამოუცხადაო, რომ ნუ გიხარიანთ, ეგ ის კახა-ბერი აღარ არის, ჩვენ რომ ვაფასებდითო! ის მოკვდა და აი ეგ ვინც არის, აქედამ სცანითო.

ერთს საღამოს არტაანში რამდენიმე ახალგაზდებმა შეიყარა თავი და ამ საქმის თაობაზე ჰქონდათ მოლაპარაკება. სხვათა შორის ის პასუხის მიმცემი ახალგაზდაც იქ იყო. ერთმანეთში მოლაპარაკებისა და განსამართლების შემდეგ, ამ კრებამ გამოაცხადა, რომ ის სრულიად თანახმაა იმ პასუხისა, რომელიც კახა-ბერს მიეცაო. შემდეგ თაეს-მჯდომარემ სთქვა: «ვინც წინააღმდეგია ამ განჩინებისა და მოპასუხეს მართლად არ იცნობს, გამოაცხადოსო!» მაშინ წამოდგა ერთი ახალგაზდათაგანი და სთქვა: «მე სრულიად თანახმა ვარ თქვენი, მაგრამ რადგანაც მე სამსახურში ვარ და მალალი ადგილი მიჭირავს, მეშინია ცხადათ თანაგრძნობისაო და ნურაფერს უკაცრაეათო.» მეორემ სთქვა: «მე გამდიდრება და კეთილი ცხოვრება მიყვარს და ახმედ-ფაშას საწყენში რომ გავერიო, ხელს შემიშლიან, რადგანც ბევრი მისთანა სულ-მდაბალი კაცია, რომ იმ დიდი-კაცის მოსაგერებლათ, მეც დევნას დამიწყებსო, და ჩუმათ გულში კი თანა-გიგრძნობთო.» მაშინ ესენი ორიეე საზოგადოებამ გააგდო თავის კრებიდამ და თვით შეუდგა ერთხმათ ამ ლექსის სიმღერას:

ფარშაგანგი.

უცხოს წალკოტს და მშვენიერს,
ადუვავებულს მრავალ-ფერად,
სადც იადონი უმღერს
საამოდ და გულ-სიძგერად,

—

ერთი ფარშ-შავ-ანგი გუვავდა,
მოსაწონი, დასატული.
ჭვერცხის დება არ იცოდა,
ჭქონდა მხოლოდ კარგი გული!

—

საარაკო ფრინველს ჭკვავდა,
მას ვუმღერდით, მას ვაქებდით;
მაზედ ტუდს ვინც გაბედავდა,
ბატის ფრთებზედ ავავებდით!...

—

დრომ ვერ დასდო მას თვის კვალი,
დარჩა ლამაზი და ტკბილი;
ახალ-გაზდათ წმინდა თვალი
მისკენ იყო მიპყრობილი!...

—

ერთს დღეს მოგვესმა ყიჟინა,
აღარ გვესმა ტკბილი ანგი....
მივედთ, ვნახეთ, აღარ იყო
ბაღში ჩვენი ფარ-შავ-ანგი!...

—

ნაცვლათ მისსა დათვი დაგვხვდა;
მას თან ჭყავდა ორი ბელი!...
მაშინ მივხვდით: საქმე წახდა!
შემოვირტყით თავში ხელი!...

—

მას აქეთ, შეწუხებული,
ფარ-შავ-ანგს ვეძებთ მწუხარე,
მას ვიგლოვთ გულ-დაწყვეტილი
და ცრემლები გვდის მდუღარე!

—

გვახსოვდეთ, საით გაფრინდა
ის ჩიტი დვთით-მადლიანი
და მოგვაშორეთ, არ გვინდა
ეს დათვი —ბელიანი!...

აბარა.

—

ა. ბ.

და სხ. ხარკოვის ეპარქიის მღვდელთ-მთავარმა იმწამსვე გამოძიება დანიშნა ამ საქმის თაობაზე და ერთი მღვდელი გაგზავნა სოფლებში გამოსაძიებლათ—თუ მართალია ეს ამბავიო.

ეს უბრალო შემთხვევა ამტკიცებს—თუ რა გაელენა აქვს რუსეთში გაზეთებსა და როგორ ყურადღებას აქცევს საზოგადოება გაზეთში გამოცხადებულ ამბავსა.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ბასტილიის აღება

1789 წლის 14 იულისსა და იმისი დღესასწაულობა წელს.

ეხლა შეგვიძლია შეგატყობინოთ, რით გათავდა ერთი ღირს-შესანიშნავი შემთხვევა 14 იელისს, როგორც მოგეხსენებათ, ბასტილიის ციხის დაგრევის დღე არის. პარიჟელებს სურდათ, ამ დიდებული დღის სახსოვრად, ჩინებული დღესასწაული გადაეხადათ. ყველაფერიც მზათ იყო და ბანკეტის თავმჯდომარეთ ლუი ბლანს უპირებდნენ თხოვნას; ამ დღეს ის სომფურშიც მიიპატიჟეს და რადგაც ერთ დროს ორს ადგილას დასწრობა არ შეეძლო, ბოდიში მოიხადა და გარდასცა მათ იმ სიტყვის შინაარსი, რომლის წარმოთქმას ლუი ბლანი პარიჟში აპირებდა: . . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . ,. . . . . ამ წიგნის გახმოვანებამ ისე შეაშინა პარიჟის გუბერნატორი, რომ აღკრძალა ბანკეტის გაწყობა. მაგრამ ბევრს ადგილას მაინც იდღესასწაულეს შინაურათ და პარიჟის ქუჩებში განსხვავებულ სიცხოველე სჩნდა.

მაგიერათ, გამბეტამ რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვა ფერტე-სე-ჟუარრის ქალაქში, სადაც სადილათ იყო მიპატიჟებული იმ დღეს. სადღესასწაულო ადგილი მინდორში იყო გაწყობილი, მშვენიერს მდებარეობაში; უმეტესი ნაწილი გლეხობა და მუშა-ხალხი იყო იქ; როდესაც გამბეტა მივიდა, ხალხი აღტაცებით შეხვდა მას და სადღესასწაულო მარში დაუკრეს. გამბეტამ სიყვარულისთვის მადლობა გამოუცხადა ხალხს და ნება ითხოვა მათ სუფრაზედ დამჯდარიყო. მისმა ლაპარაკმა ყველა აღტაცებაში მოიყვანა, თუმც ნიაღვარმა კი ორჯერ გააწყვეტინა მუსაიფი. სასადილო ადგილი ჭილობებით გარდაეხურათ, მაგრამ წვიმამ მაინც ჩამოატანა. «გაიხსენეთ—სთქვა გამბეტამ—14 იელისი 1790 წ., როდესაც ჩვენი მამები პარიჟში, მარსის მინდორზედ, რესპუბლიკის დაფუძნებას დღესასწაულობდნენ: მაშინაც საშინელი წვიმა ასხამდა, მაგრამ იმათ ყურადღებაც არ მიუქცევიათ. ჩვენი წინაპრების წყალობით, ეხლა ჩვენ უმჯობესს მდგომარეობაში ვართ, ამისთვის უნდა მოვიხსენოთ ისინი პატივისცემით და სიყვარულით, სთქვა ორატორმა. ფრანციას ისეთი თავისუფლება უნდა ექნეს, როგორიც ინგლისელებს, ამერიკელებს, შვეიცარიელებს აქვთ, ისეთი თავისუფლება, რომელიც დაეჩუმებდა ფრანციის შემაშინებელ მყეფარ ძაღლებს!»

«თქვენ ყველა ძმები ხართ, და როდესაც თქვენს შორის თანხმობა დაარსდება, მაშინ უფლებაც უმრავლესობის მხარეზედ იქნება; ყველა წოდება თანასწორეთ უნდა შრომობდეს ქვეყნისთვის; ძველი ჩვეულება და წესი სამუდამოთ უნდა გაქრეს. ევროპამ შეიტყო, რომ ძველ ცხოვრებას უკანასკნელი დღე ადგა და მის მაგიერათ უნდა შობილიყო ახალი ცხოვრება, რომელშიაც იმეფებდა სიმართლე, ჭეშმარიტება, პირადი ღირსება, თავისუფალი აზრები. ეს მაშინ კარგათ გაიგეს; ისინი გრძნობდნენ, რომ განთავისუფლებულ ფრანციას ვერც ძალადობის უღელით, ვერც სამღვდელოების გავლენით ვეღარ მოხრიდნენ წელში.» ნამეტურ ბონაპარტიელები აღარ დაზოგა გამბეტამ თავისი სასტიკი მჭევრ-მეტყველობით. იმათი ხალხის გამრყვნელი სისტემა და ყველა უბედურება, რომელშიაც მეორე იმპერიამ ჩააგდო ხალხი, ორატორმა ნათლათ დაანახა თავის მსმენელებს. გამბეტამ მოიწოდა ყოველი, მდიდარი და ღარიბი, სამშობლოს განთავისუფლებას დაეხმაროს; ამ სიტყვებს დიდი გავლენა ჰქონდა. ამ დროს საშინელი წვიმა წამოვიდა და მეოთხე საათზედ შეაწყვეტინა ლაპარაკი გამბეტას. საზოგადოება «მარსელიეზას» იმღერდა, თითქოს აქ არა ამბავი იყოსო. გარდილო თუ არა, გამბეტამ ხელახლათ დაიწყო ლაპარაკი: «ჩვენ სამ ნაირი მონარხიის მომხრეები გვყავს: იმპერია, რომელიც ჩუმათ მოქმედობს, კონსტიტუციის მონარხია, რომელიც მხოლოდ ფრაზების ლაპარაკით იქცევს თავს და მესამე ის, რომელსაც მემკვიდრეობით მონარხიას ეძახიან. ეს უკანასკნელი ძველი წესდების და ცხოვრების დაბრუნებას ოცნებობს; ის აღარ ალადგენს ბასტილიას ძველ ადგილზედ, მაგრამ მთელ ფრანციას კი დაამწყვდევს ბასტილიაში. ყოველი რესპუბლიკელი ვალდებულია, რესპუბლიკური აზრები იქადაგოს, მან უნდა განავრცელოს ხალხში თავისუფალი აზრები, ძმობა და სამართლიანობა!» გამბეტა სცდილობდა დაერწმუნებინა ხალხი, რომ ყველა წოდებამ თანხმობით უნდა იმოქმედოსო. «პირველათ სამშობლო განვათავისუფლოთ და შემდეგში ჩვენი თავის გარდაკეთებას შეუდგეთ, საყოველთაო ჭეშმარიტათ ხალხის განათლების საშუალებითა. ჩვენ უნდა გვექმნეს მუქთი და ვალდებულებითი სწავლა, გარეშე მცირედის სამღვდელოთ მონაწილეობისა ამ საქმეში. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ვალდებულებითი განათლების შემოღებით მშობლის უფლება ირღვევაო! ვინ ამბობს ამ სასაცილო სიცრუეს? ისინი, ვისაც აღთქმა აქვსთ მიცემული, რომ ცოლშვილი არ იყოლიონ—სამღვდელოება! კაცს ერთი მეფე ჰყავს, რომელიც ღირსია თავგანწირვით თაყვანისცემისა; ეს მეფე არის,—სწავლა.» ამ ადგილმა განსაკუთრებით აღტაცებაში მოიყვანა ღვთის მოყვარე გლეხები და საშინელი ტაშის კვრით თავისი სიყვარული და თანაგრძნობა გამოუცხადეს გამბეტას.

ასე დასრულდა ფერტე-სე-ჟუარრის დღესასწაული. ბევრგან სხვა ადგილსაც იყო ამნაირი დღესასწაული. ფრანციას ძვირფასათ მიაჩნია დიდებული 14 იელისის შემთხვევის მოგონება. ან კი როგორ შეიძლება ამ დღის დავიწყება! 14 იელისის რევოლუციამ სრულიად შესცვალა ფრანციის სახელმწიფო წყობილება. ამ რევოლიუციის ნამდვილი მიზეზის გასაგებათ, საჭიროა თვალი გადავაელოთ მაშინდელ ფრანციის პოლიტიკურ ცხოვრებას.

რამდენიმე დღის წინეთ კოროლმა ლუდოვიკო XVI ძლიერ სასტიკი ზომები მიიღო შესახებ ნაციონალური კრებისა, რომელიც სხვა და სხვა წოდების დეპუტატებისაგან იყო შემდგარი. ისინი იკრიბებოდენ ვერსალში გასასჯელათ მრავალ გვარი ხალხის საჭიროებისა. პირველ სხდომაშივე ნაციონალურმა კრებამ უზენაესი უფლება მიითვისა, მოსპო რამდენიმე შესანიშნავი ბოროტება და ხალხის საკვების კომიტეტი დანიშნა, სადაც ხალხს ცხოვრებისთვის საჭირო მასალების მიღება შეეძლო.

ამ ნაირ გონიერი პალატის მოქმედებამ ხალხი აღტაცებაში მოიყვანა; სასახლის პარტია კი დიდ მწუხარებაში იყო და ყოველი ღონე იხმარა, რომ აეძულებინა კოროლი ხალხის წარმომადგენლებს ძალით მოჰყროდა. ამ პარტიაში უმთავრესი მოქმედი პირი თითონ კოროლევა, მარია ანტუანეტა, იყო, რომლის რჩევით და მეცადინეობით კოროლი შემდეგ გარდაწყვეტილებას დაადგა: იგი დიდებულად უნდა წარმდგარიყო კრებაში, ხალხის წარმომადგენლების ყველა განჩინება უნდა გაეუქმებინა და შემდეგში როგორ ემოქმედნა პალატას, იმას თითონ კოროლი უბრძანებდა.

საუბედუროთ, ლუდოვიკოს ხასიათზედ კარგსა და ცუდ წრეს თანასწორი გავლენა ჰქონდა; ეს კარგათ იცოდა სასახლის პარტიამ და მოინდომა, კოროლის მინისტრს ნეკკერზედ ყოველი რწმუნება დაჰკარგოდა. ნეკკერს კრებისა და კოროლის ერთმანერთთან მორიგება სურდა; მას არ უნდოდა იქამდისინ მიეყვანა საქმე, რომ ხალხს თითონ ძალით დაეპყრო ის უფლებები, რომელიც სიმართლით ხალხსავე ეკუთვნოდა. ეს ისეთი წამი იყო, როდესაც ადვილათ შეიძლებოდა ტახტის შველა, მაგრამ კოროლის დაახლოებულებმა საბრალო ლუდოვიკო მაინც თავის რჩევაზედ დააჯერეს და მით დაღუპეს მონარხიის საქმე.... 20 ივნისს ერთბაშათ კრება დაჰხურეს და ამ ნაირი თვითმნებელობის მიზეზათ მმართებლობამ ის წარმოადგინა, რომ კოროლი აპირობს პალატაში მობრძანებას და სახლს შეკეთება სჭირიაო.

დანიშნულ დროს პალატის პრეზიდენტი, ბალლი, ჩვეულებისამებრ მოვიდა და როდესაც შეჭხედა ნაციონალური კრება ჯარებით არის დაჭერილი, პროტესტი განაცხადა, სთქვა: «ეს კანონის დარღვევა არისო.» ამ დროს დეპუტატებიც მოვიდნენ და გარდაწყვიტეს სადმე სხვაგან მოეხდინათ სხდომა.

დეპუტატებს წინ პრეზიდენტი გაუძღვა; ხალხი აღტაცებით მისდევდა თავის წარმომადგენლებს და გზაში მხურვალე თანაგრძნობას უცხადებდა მათ. უკანასკნელად მონახეს ერთი დიდი ზალა, სადაც სკამებიც არ იპოებოდა და ფეხზედ დამდგარი იქ შეჰფიცეს ერთმანეთს რომ აღასრულებენ თავის წმინდა დანიშნულებას და კონსტიტუციის შეუდგენლათ არ დაიშლებიან.

მოაღწია დანიშნულ დღემაც, როდესაც კოროლი უნდა მობრძანებულიყო პალატაში. ზალა, სადაც დეპუტატები ისხდნენ, ჯარით იყო შემორტყმული. გაიღო კარები და წარმოსდგა კოროლი სრული თვისი ბრწყინვალე დიდებით. წინააღმდეგ ჩვეულებისა, ნაციონალური კრება ჩუმეთ შეხვდა ხელმწიფეს. ლუდოვიკო მრისსანეთ იყო; მთელი იმისი სიტყვა პალატის გარდაწყვეტილების გაკიცხვას და მათ მოქმედებაზედ უკმაყოფილებას შეადგენდა. კოროლმა გამოაცხადა, რომ ყველა ნაც. კრების რეფორმებს აუქმებს და უცხადებს უსიამოვნებას მათ მოქმედებისათვის. შემდეგში ის თითონ უბრძანებს, რას უნდა მიაქციონ ყურადღება ხალხის წარმომადგენლებმა და თუ დანიშნულ სამზღვარს გადასცდენ, მაშინ კოროლი სრულიადაც დაჰხურავს ნაციონალურ კრებას.

ამ ურიგო, მაშინდელ მდგომარეობისათვის, სიტყვების შემდეგ, უბრძანა დეპუტატებს დაშლილიყვნენ, და წავიდა... აზნაურობა და სამღვდელოება დამორჩილდა, მაგრამ ხალხის დეპუტატები კი თავიანთ ადგილს დარჩენ, დრტვინვით, ხმა ამოუღებლათ. რამდენიმე წამს ზალაში სამარის სიჩუმე იყო. უკანასკნელად დეპუტატმა მირაბომ შესწყვიტა ეს საზარელი მდგომარეობა: «ეფაქტონი! — სთქვა მირაბომ—უნდა გავტყდეთ. რაც ჩვენ ეხლა გავიგონეთ, ამას შეუძლია სამშობლოს განსათავისუფლებელი იარაღი მოგვცეს ხელში. მაგრამ დესპოტობის წყალობა ყოველთვის საფრთხილოა. ეს რა გასალანძღავი დიქტატურაა? ირგელივ ჯარებს გვასვენენ, ნაც. კრების სიწმიდეს არღვევენ! ვინ შვრება ამას?—თქვენგან უფლება-მინიჭებული. ვინ მოგიწერს თქვენ კანონს? – თქვენგან უფლება-მინიჭებული; ის, ვინც თითონ თქვენგანვე უნდა მიიღებდეს კანონებს; ჩვენგან, და მხოლოდ ჩვენგან, უუ., რომელნიცა ვართ შემოსილნი პოლიტიკური წოდებითა! წმინდა და შეუხებელი არის ეს წოდება! ჩვენგან და მხოლოდ ჩვენგან მოელის ოცდა ხუთი მილიონი ხალხი თავის ბედნიერებას! მაგრამ თქვენ არ გაძლევენ ნებას თავისუფლათ ჰსაჯოთ, თქვენ სამხედრო ძალითა ხართ გარემოცულნი! სად არიან ხალხისა მტერნი? მე მოვითხოვ, რომ თქვენ დაიცოთ საკუთარი ღირსება, დაიცოთ თქვენი კანონის მიმცემი უფლება, დაიცოთ სიწმინდე ფიცისა! ეს საიდუმლოება გიკრძალავს თქვენ კონსტიტუციის შედგენამდინ არ დაიშალოთ!»

ამ მოულოდებელ წინააღმდეგობამ გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა პალატაში; მირაბომ წარმოსთქვა ის, რაც ყველას ჰქონდა გულში და, რასაკვირველია, აღტაცებით მიიღებდენ ამ ნაირ აზრს. როცა ობერ-ცერემონიმეისტერმა შეჰხედა, რომ ნ. კრება არ იშლება, მაშინ მან კოროლის ბრძანება განიმეორა. ამაზე მირაბომ შესძახა: «თქვენ აქ, მოწყალეო ხელმწიფეო, არა გაქვსთ არც ადგილი, არც ხმა! წადით და უთხარით თქვენს ბატონს, რომ ჩვენ აქ ხალხის ნებითა ვართ შეყრილნი და გარდა შუბებისა ვერაროგმელი ძალა გვაიძულებს დავტოვოთ ჩვენი ადგილი!» ამ დღეს ნ. კრებამ ბევრი გაცხარებული კოროლის საწინააღმდეგო აზრები მიიღო, მირობოს, სიეს, ბარნავის, პეტიონის და სხვა დეპუტატების წინადადებითა; ამ დღეს დაიღუპა კოროლის ძლიერება!

(დასასრული შემდეგში)

დ. ზურაბისშვილი.

ჰეტერბურღი, ივლისის 16.

ინგლისი

ეს ერთი თვეა, რაც ლონდონში თითქმის ყველა ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოების წარმომადგენლები არიან შეკრებილნი და აქვთ მოლაპარაკება დამნაშავეებისთვის დასამწყვდევი ადგილებისა ანუ საპყრობილეების გაუმჯობესობის თაობაზე და საზოგადოთ იმაზე—თუ როგორ უნდა ეპყრობოდეს მთავრობა დამნაშავეს. თითქმის ყველამ ის აზრი გამოთქვა, რომ რაც უფრო ლმობიერებით და კეთილათ მოექცევა კაცი დამნაშავესა და რაც უფრო ეცდება იმის ზნეობით მხარეზე იქონიოს გავლენა—ისა სჯობიაო. ამასთანავე დამნაშავე ქალების მდგომარეობაზე იყო მოლაპარაკება და ერთმა ინგლისელმა ქალმა—კარპენტერის ცოლმა, სთქვა, რომ დამნაშავე ქალების სატუსაღოების ზედამხედველათ ქალებივე უნდა იყვნენ დანიშნულნიო, რადგან იმათ უფრო შეუძლიანთ კეთილი გავლენა იქონიონ თავიანთ სქესის არსებებზედაო.

ამ კონგრესზედვე სიკვდილით დასჯაზედაც ჩამოვარდა ლაპარაკი და ზოგიერთებმა სთქვეს, რომ მძიმე დამნაშავისა, მაგალითად კაცის მკვლელის, სიკვდილით დასჯა აუცილებელათ საჭირო არისო, სხვების დასაშინებლათაო. მაგრამ კონცრესის მომეტებული ნაწილი წევრები წინ-აღუდგა ამ აზრს და ბევრი დასამტკიცებელი მაგალითები მოიყვანეს იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასამტკიცებელათ, რომ სადაც სიკვდილით დასჯა მოსპობილია, იქ კაცის-კვლაც უფრო იშვიათად ხდებაო. თუმცა შეეიცარიაში და ინგლისში კაცის სიკვდილით დასჯა არ არის მოსპობილი, მაგრამ ამ ქვეყნებში ძლიერ იშვიათად სჯიან მძიმე დამნაშავეებს ამ საშინელი სასჯელითა და ამ ქვეყნებში ამ უკანასკნელ დროს კაცის-მკვლელობაც ძლიერ იშვიათად ხდება. ესეც უნდა ითქვას თითქმის მთელს შვეიცარიაზე, ამერიკაზე და ზოგიერთ სხვა დაწინაურებულ ქვეყნებზე. ბოლოს, ერთი დეპუტატის წინადადებით, კონგრესმა გადასწყვიტა, რომ საფრანგეთის მმართებლობას განკიცხვა გამოუცხადოთ და დავაყვედროთო, რომ ამ უკანასკნელ დროს ამდენი კაცი დასაჯა იმან სიკვდილითაო.

—ინგლისის კოროლევამ, ვიქტორიამ, ხელი მოაწერა და დაამტკიცა კანონათ ის პროექტი, რომელიც საიდუმლო კენჭის-ყრას შეეხება და რომელიც ამას წინათ ზემო და ქვემო პალატებმა მიიღეს. ზემო პალატამ ამ კანონის პროექტში მხოლოთ ერთი ცვლილება მოახდინა, ის რომ ამ კანონს მხოლოთ რვა წლის განმავლობაში ექნება ძალა, მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ ხალხი დარწმუნდება ამ კანონის სიკარგეში და აღარ შესცველის იმასაო.

ამერიკა

ერთს ფრანცუზულს გაზეთში ნიუ-იორკიდამ იწერებიან, რომ აქ ისეთი სიცხეებია, რომ კაცს სულის თქმა უჭირსო. აუარებელი ხალხი იხოცება ჩვენს ქალაქშიო; განსაკუთრებით ბევრი იხოცება მუშა-ხალხიო, რომელიც იძულებულია გარეთ იმუშაოს და ცუდი საჭმელ-სასმელისაგან დასუსტებული არისო.

ესპანია

ივლისის 18 (6) ესპანიის კოროლის ამეღესთვის და იმის მეუღლისთვის ერთ ალაგას რევოლვერი უსვრიათ, მოკვლა მოუდომებიათ, მაგრამ მშვიდობით გადარჩენილან. აი როგორ მომხვდარა ეს ამბავი: საღამოს 9 საათზე კოროლი და იმის მეუღლე ერთად ჩამ.ხდარან კარეტაში და კონცერტზე წასულან. შუაღამისას უკან დაბრუნებულან. ერთ ქუჩის ყურში რომ მისულან, უეცრათ რამდენიმე რევოლვერი თუ თოფი ერთად გავარდნილა. ქუჩერს რაც ძალა ჰქონია, დაუკრავს ცხენებისთვის მათრახი და კარეტა გუქანებია სასახლისაკენ, სადაც, მოსულან თუ არა, ერთი ცხენი დავარდნილა და მომკვდარა. კოროლის კარეტის უკან მოდიოდა მეორე კარეტა, რომელშიაც მადრიდის გუბერნატორი იჯდა. ის იმწამსვე ჩამომხტარა კარეტიდამ და პოლიციელებს, ერთს გარდა, თითქმის ყველა დაუჭერიათ, რომელთაც კი ან ხელში და ან ჯიბეში რევოლვერი უნახეს. ამბობენ, კოროლი ძლიერ მარჯვეთ იყო ამ დროსაო, კოროლევას კი გული წასელოდა კარეტაში და ახლა ამბობს თურმე, რომ ესპანიაში არ დავდგები შინ უნდა წავიდეო. იმ წამსვე ყველა წარჩინებული პირები მისულან სასახლეში და მოულოცავთ კოროლისა და კოროლევისათვის მშვიდობით გადარჩენა.

ამ საქმის თაობაზე ფიცხელი გამოძიება არის დანიშნული და ჯერ-ჯეროობით 60 კაცამდი დაუტუსაღებიათ. დარწმუნებით ამბობენ, რომ ესენი მოსყიდულნი არიან რომელიმე პარტიისაგან და სხვისი წაქეზებით უპირებდნენ ამედეის მოკვლასაო.

მოკლე მიმოხილვა ფრანცუზებსა და პრუსიელებს შუა ომისა (1870-1871 წ.)

(დასასრული).

ახლა ვნახოთ საფრანგეთი. 1866 წლიდან, პრუსიის ავსტრიაზე გამარჯვების შემდეგ, ფრანცუზები დარწმუნდნენ პრუსიის წყობილების უმჯობესობაზე; მაგრამ არ იყვნენ თანახმა მოეკლოთ ხუთი წლის ვადა ნამდვილ სამსახურში სალდათისთვის *), რადგანაც სამი წელიწადი არ მიაჩნდათ საკმაოთ სალდათის გასავარჯიშებლათ. იმათ გამოჰყავდათ ყოველ წელს 100,000 რეკრუტი **); მაგრამ რადგანაც ეს შეადგენდა დიდ ჯარს, რისთვისაც დიდი ხარჯი მოუნდებოდა სახელმწიფოს, ამის გამო ნაპოლეონ მესამის დროს ამ 100,000 რეკრუტიდან 30,000 რეკრუტი, რამდენიმე კვირის სწავლის შემდეგ, ჩაირიცხებოდა რეზერვში, ცხრა წლის ვადით; დანარჩენი 70,000 რეკრუტი გამოჰყავდათ ნამდვილ სამსახურში ხუთის წლის ვადით და შემდეგ ჩაირიცხებოდა რეზერვში ოთხი წლის ვადით. ამ გვარი წყობილებით საფრანგეთს 1870 წელს ჰყავდა ნამდვილს სამსახურში 350,000 კაცი, რეზერვში 280,000; მაშასადამე სულ 630,000 კაცი. ეს იყო სულ ნასწავლი ჯარი საფრანგეთში; ამას თუ გინდ მოუმატოთ 270,000 კაცი, რომელიც რამდენიმე კვირის სწავლის შემდეგ ცხრა წლის ვადით რეზერვში ჩაირიცხებოდა და რომელსაც, რასაკვირველია, ნასწავლი ავიწყდებოდა, მაშინ შედგება 900,000 ჯარი. ეს რიცხვი ნაკლებია ნემეცების ჯარის რიცხვზე. ამის გასამსებლათ მმართებლობამ მოუბრუნდა ნაციონალურ გვარდიას, რომელიც არსობს საფრანგეთში პირველი, დიდი, რევოლუციიდან. ეს ჯარი არც კი ემორჩილებოდა სამხედრო მინისტრს და ძალიან უთავბოლო მდგომარეობაში იყო; უმეტესი იმათგანი მოქალაქენი იყვნენ და მისდღეშიც არ აუღიათ ხელში თოფ-იარაღი, ასე რომ ნაციონალური გვარდიის 40,000 კაცი მხოლოდ პალიკაოს ჟურნალში იყო ჩაწერილი, თორემ ნამდვილათ კი არ სუფევდა.

სხვა მხრითაც რომ შევხედოთ პრუსიის ჯარს, ჩვენ უფრო დავრწმუნდებით მის უმჯობესობაზე. სხვათა შორის შესანიშნავი არის პრუსიის ჯარის მშვიდობიან მდგომარეობიდამ *изъ мирнаго положенія*) საომარ მდგომარეობაზე (*на военное положеніе*) მოყვანა: პრუსიაში ჯარი განიყოფება დივიზიებათ და კორპუსებათ; ეს ჯარი დგას ერთსა და იმავე ადგილას და ომიანობის დროს კორპუსებში და დივიზიებში ჯარის რიცხვის სინაკლულე შეივსება იმავე მაზრებიდამ, რომელშიაც კორპუსი დგას. ეს მდგომარეობა ძალიან ამსუბუქებს საქმეს ომიანობის დროს ჯარის შეკრებისთვის. მაგალითად, 1870 წელს მთელი პრუსიის ჯარი ექვსი დღის განმავლობაში მზათ იყო საომრათ. როდესაც მიიღეს ტელეგრამმა კორპუსის შტაბებში ომიანობის თაობაზე, პირველ დღეს მზათ იყო რეზერვში და ლანდვერში მყოფი ჯარის გამოსაკრები უწყება, მეორე დღეს გაგზავნეს ეს უწყებაები, მესამე დღე მისცეს იმათ თავიანთ საქმის მოსაწყობათ; ამ დღესვე უკრებენ თავს საჭირო ცხენებს; მეოთხე და მეხუთე დღეს ხალხი მიდის თავიანთ კორპუსებში; მეექვსე დღეს კი ყველა მზათ იყო. ასე რომ 16 ივლისში პრუსიის კოროლმა გამოაცხადა ჯარის შეკრება საომრათ და 22 ს ჯარი მზათ იყო; სამი დღე მისცეს ჯარს მოსასვენებლათ და 25 ივლისს გერმანიის ჯარი გაუდგა საფრანგეთის სამზღვრისკენ.

საფრანგეთში სულ სხვა ნაირი წყობილება იყო: მთელი სახელმწიფო განიყოფებოდა რამდენსამე მაზრად. ამ მაზრებში მყოფი ჯარი ემორჩილებოდა ერთ პირს, რომელსაც ნიშნავდა მმართებლობა; მაგრამ თითოეულ მაზრაში ჯარი არ იყო ერთი და იმავე კორპუსებისა, როგორც პრუსიაში, ასე რომ ომიანობის დროს ეს ჯარები უნდა გადასულიყვნენ სხვა და სხვა ოკრუგებში, რომ შესულიყვნენ თავის კორპუსების რიცხვში. ამგვარ გარდასვლას და ჯარის შეერთებას, რასაკვირველია, უფრო ბევრი დრო მოუნდა, ვინემ პრუსიის ჯარის დამზადებასა.

რაც შეეხება ხალხის ბუნებით თვისებას, ამის თაობაზედაც იყო განსხვავება ნემეცებსა და ფრანცუზებს შუა. ნემეცები ძალიან წყნარი და ამასთანავე გულ-დამშვიდებული ხალხია; ახირებულათ იმათ ვერაფერი აჩქარებს. ფრანცუზები კი ძალიან ფიცხი და ჩქარი ხალხია; მალე მოდიან აღტაცებაში და ვაი იმას, ვინც ამ დროს იმათ წინ დაუხვდება. მაგრამ ამ თვისებებს აქ ბევრი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ის ფრანცუზები იყვნენ, იმავე ბუნებითი თვისებით, ნაპოლეონი პირველის დროს რომ ამარცხებდენ ნემეცებს. საქმე მხოლოდ იმაშია, როგორც წინეთა ვსთქვით, რომ ნემეცების ჯარი უფრო ნასწავლი იყო და უფრო სინიდისიანათ ჰკიდებდენ თავის საქმეს ხელსა. იმათ შორის ძალიან ძვირათ ნახადა კაცი იმისთანა კუდაბზიკა ღენერლებსა, რომელთაც დედის უბიდან გამოჰყოლიათ ღენერლობა და გარეგანი შეხედულობით უნდათ ააშენონ ქვეყანა. პრუსიის აფიცრებმა არა თუ იცოდნენ რომ კარგათ, ისინი ძალიან კარგათ იცნობენ თავიანთ ხალხს, მათ ეკონომიურ მდგომარეობას და უმეტესს ნაწილს მიუღია ხეირიანი და საფუძვლიანი სწავლა, ასე რომ იმათ სამხედრო ნაწილის გარდაც შეუძლიანთ თავის სამშობლოსთვის გამოსადეგნი იყვნენ. საფრანგეთში ჩვენ სულ სხვა მაგალითს ვხედავთ: თვითონ ფრანცუზები ამბობენ ახლა, რომ ნაპოლეონმა მისთვის მისცა ფალიეს ღენერლობა და დააყენა კორპუსის ზედამხედველათო, რომ იმან ლაზათიანი ლაპარაკი იცოდა და ხშირათ აცინებდა და ამხიარულებდა ნაპოლეონს და მისს მეუღლესაო. ღენერალი ტროშუ, რომელმაც დიდის ცოდნით ასწერა საფრანგეთის სამხედრო ნაწილის ნაკლულევანება დამით ცხადათ აჩვენა მმართებლობას ნემცების ჯარის უკეთესობა, ძალიან ცუდათ ჰყავდა სახეში ნაპოლეონს იმისთვის, რომ ამით იმან გამოაჩინა იმ მმართებლობის უყურადღებობა, რომელიც არწმუნებდა ხალხს ომიანობის წინეთ, რომ საფრანგეთის ჯარი და წყობილება ბევრათ სჯობს ნემცებისასო.

ამის შემდეგ ცხადია, რომ ნაპოლეონის მართებლობამ მოატყუა თავის თავი და გახადა თავის წინ-დაუხედველობის მსხვერპლათ ეს მშვენიერი ქვეყანა...

სიროიჩქონ ქიშვარდიანი.

პეტერბურგი, 1872 წ.

*) როგორც სჩანს გაზეთებიდან, ახლაც ამ აზრისანი არიან ფრანცუზები.

**) რეკრუტი—ახალ გამოუვანილ სალდათს ჰქვია.

ნარევი

ერთს რუსეთის სოფელში ათი წლის გლეხიკაცის პატარა ბიჭს თავი ჩამოულეწია თოკითა. შესანიშნავია ის გარემება, რომელსაც ჩამოსახჩობლათ უმეულებია ეს უმაწვილი: დედ-მამას ეს ბავშვი სარაზთან ჰყვანდა თურმე მიბარებული, რომელიც ხშირათ სცემდა იმას; ამის გამო შაგირდი ორჯელ გაქცეულა ოსტატს და შინ მიდიოდა, სადაც ორიგეჯერ ძმის ეტყვა იმისთვის და იმას ოსტატთან მიეყვანა. მესამედ რომ გამოექცა ოსტატს ეს უმაწვილი, მამა შინ არ ყოფილიყო. დედას ეთქვა: მოიცა, მამა მოვა გაუურებინებს შენს ხეირსო. უმაწვილს ეშინოდა, რომ მამა ასლა ვეღარ გამოხსნასო, ასულიყო სახლის სახურავს ქვეშ, ჩაძოება თოკი და ჩამოეღო თავი.

***

ივლისის 17 (5) დაწყებულა ბოსტონში (ამერიკაში) ის გასაოცარი კონცერტი, რომელზედაც ასე ბევრს სწერდნენ. იმ დღეს ამ კონცერტზე 30.000 კაცი და ქალი დასწრებია და 16,000 მომღერლები და სხვა და სხვა ინსტრუმენტებზე მუზიკის მკვრელები ყოფილან. ამ კონცერტის დროს მუზიკას ზარბაზნები და ზარები ბანს აძლევდნენ თურმე.

***

ერის რუსულ გაზეთში სწერენ, რომ ჭურლანდიაში ერთ ურიის ქალს ათი თვის გასძღომაში შვიდი შვილი უშობია. შარშანდელ წლის დამდეგს ამ ქალს უშობნია ორი ქალი და ამ წლის მაისში კიდევ ოთხი ქალი და ერთიც ვაჟი. ამბობენ, რომ დედა და ყველა იმის შვილები ცოცხლები არიანო..

ააშენა ღმერთმა, კარგი მოდგმისა ყოფილა!...

განცხადება

ინგლისიდან მივიღეთ **კარბოლოვის საქონელი**, პარაშოკი სხვა და სხვა წყლები და კრისტალი, რომელიც იხმარება ცხენისთვის, ძროხისთვის, ცხვრისთვის, ძაღლისთვის და საზოგადოთ ყველა პირუტყვისთვის, არჩენს ქეცსა და ნაირ ნაირ ავათმყოფობასა, ხოცამს საშინლათ ბაღლინჯოს, ჭინჭველას. აგრეთვე სახადისთვის, ხოლერისთვის, კვდრის სუნისთვის, ჰაერის გასაწმენდათ, ავათმყოფობისთვის, ხეებისთვის, კბილისთვის, თმის დასამაგრებლათ და სხვ...

საპონები კარბოლოვისა:

მ ე დ ი ც ი ნ ი ს ს ა პ ო ნ ი; იხმარება პირის მუწუკებისთვის, არჩენს ქერქეცსა, ქავილსა, ზაფხულში კოღოს ხოცამს და ტანსაც გრილათ ინახამს.

ტ კ ა ლ ე ტ ი ს ა ს ა პ ო ნ ი აწმინდაებს და არბილებს პირის კანსა. ეხმარება ციებიან და ხოლერიან ავათმყოფსა.

გ ლ ე ც ი რ ი ნ ი ს ს ა პ ო ნ ი, ქალებისთვის, პირს არბილებს და პირზედ თმას არ უშვებს.

შ ი ნ ა უ რ ი ს ა პ ო ნ ი სარეცხისთვის და პოლებისთვის.

ს ა პ ო ნ ი ც ხ ე ნ ი ს თ ვ ი ს, ძროხისთვის, პირუტყვისთვის. აშორებს ბუზსა, ავათმყოფობასა და აძლევს უკეთეს თმასა, იხსნის ცუდის სუნისაგან.

ძ ა ღ ლ ი ს ს ა პ ო ნ ი, შინაურ ძაღლისთვის იხმარება.

ვ ა ნ ი ს ს ა პ ო ნ ი, იხმარება ტანისთვის, როცა ტანზე მორჩენილი იარა აქვს.

კ ბ ი ლ ი ს პ ა რ ა შ ო კ ი, სწმენდს კბილის ჭუჭყსა, აწმინდაებს და ამაგრებს კბილებს.

ყ მ ა წ ვ ი ლ ი ს ს ა პ ო ნ ი. მ ა ზ ი იარისა პირუტყვისთვის ჩლიქების მოსარჩენად.

იხყიდება: ს ო ლ ო ლ ა კ ზ ე, ერეკლეს სახლების პირდაპირ, **ს. ხატისოვის სახლებში.**

გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში ბროშურა:

ТИФЛИССКІЙ ДВОРЯНСКІЙ БАНКЪ И ЕГО ЗАСТОЙ И ЗАТРУДНЕНІЯ

По поводу записки коммисіи

М. Г. М.

ფასი ათი შაური.

ხიმშიეევის სახლიდამ, (ფოჩტის სტანციის პირ-და-პირ რომ არის) **დაიკარგა თუთიეუში.** ვინც იმას მიუყვანს პატრონს ჯეროვან საჩუქარს მიიღებს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Іюля, 1872 г. ბ. წერეთლის და ამხ. სტამბაში. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.